თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა

სოფ. გოდოგანის (ნაგარევი) საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

45200000 - სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

45214100 – საბავშვო ბაღების მშენებლობა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12^1 მუხლის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე

თერჯოლა. 2014 წელი

ტექნიკური დავალება

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის სამუშაოები (შენობების კაპიტალური მშენებლობა) **საერთო ღირებულებით 500 000 ლარი**

1. **ტექნიკური დოკუმენტაცია**

ა) მიმწოდებლები ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის მეშვეობით წარადგენენ შემდეგ დოკუმენტაციას:

- რეკვიზიტები და სატენდერო წინადადების ფასი დანართი №1–ის მიხედვით.
- ფასების ცხრილი დანართი №2-ის მიხედვით.
- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაო გამოცდილების შესახებ (ანალოგიური ხასიათის (შენობების კაპიტალური მშენებლობა) სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოს შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა)

ბ) მიმწოდებელს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. **სატენდერო წინადადების ფასი**

2.1 სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

3. **ანგარიშსწორების პირობები**

3.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში, კონკრეტული სამუშაოების ფაქტიური შესრულებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის ან/და საამისოდ შერჩეული პირის (ზედამხედველი) მიერ დადასტურებული აქტი.

3.3 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს ორ წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიდაც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. გამოსწორებამდე.

3.4 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

3.5 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) დაბრუნება მოხდება სამუშაოს სრული დასრულებისა და შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესახებ კონტროლის ჯგუფისა და საექსპერტო ორგანიზაციის დადებითი დასკვნის (მთლიანი სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესახებ, რომელის წარმოდგენაც უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით) წარმოდგენის შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი საგარანტიო ვადის (ორი წელი) გასვლის შემდეგ, ან/და გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვროს ორი წლის ვადით. თუ კონტროლის ჯგუფის ან საექსპერტო ორგანიზაციის დასკვნაში დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

3.6 საავანსო ანგარიშსწორება –არ გამოიყენება.

3.7 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს მთლიანი დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს ლიცენზირებული საექსპერტო დაწესებულების საექსპერტო დასკვნა ფაქტიური შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესახებ, რომლის ღირებულებასაც ანაზღაურებს მიმწოდებელი. უარყოფითი საექსპერტო დასკვნის შემთხვევაში შემსყიდველი განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზების გამოსასწორებლად.

4. შესყიდვის ობიექტი

4.1 სოფელ გოდოგნის (ნაგარევი) საბავშვო ბაღის მშენებლობა დანართი #2–ის შესაბამისად.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს – 141 620 (ასორმოცდაერთი ათას ექვსასოცი) ლარს.

4.2 სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ექსპლუატაციაში არ მყოფი და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების ლაბორატორიული დასკვნები და რეცეპტები და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

4.3 სამუშაოების შესრულების პროცესში გამოსაყენებელი მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ–ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისათვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო.

4.4 მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების სრული დაცვით.

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი აანაზღაუროს ან/და აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

4.6 შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 2 (ორი) წელს საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

5. მიწოდების ვადა და პირობები:

5.1 სამუშაოების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 30 ივლისამდე.

5.2 მიმწოდებელი სამუშაოს ასრულებს ეტაპობრივად, მის მიერ წარმოდგენილი გეგმა–გრაფიკის შესაბამისად. წარმოდგენილ გეგმა–გრაფიკში ნათლად უნდა ჩანდეს კონკრეტული ეტაპის დაწყებისა და დასრულების ვადები.

5.3 შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

6. დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, ან ტელეფონით. მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქუჩა №109, საკონტაქტო პირი: ზურაბ კაკოიშვილი - T-595 33 12 51.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებულიელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ელექტრონული ტენდერი

45200000 - სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

ქ. თერჯოლა ----------, 2014 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ თერჯოლის მუნიციპალიტეტს (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ----------(შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

-შემსყიდველმა ელექტრონული ტენდერის მეთოდით (SPA……..) გამოაცხადა სოფელ გოდოგნის (ნაგარევი) საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა, რომელშიც გამარჯვებულად გამოცხადდა ----------

-ხელშეკრულების სავარაუდო ფასია ----------ლარი, (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

- ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება
ბ) ტექნიკური დავალება
გ) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი (დანართი №1)
დ) ფასების ცხრილი (დანართი №2)
ე) სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სამშენებლო ნორმებს, სტანდარტებსა და წარმოდგენილ ტექნიკურ პირობებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება, მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

4. სამუშაოს მიწოდების პირობები და გარანტია

4.1 სამუშაოს მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით განსაზღვრული სამუშაოები დაასრულოს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 30 ივლისამდე.

4.3 შემსყიდველს უფლება აქვს შეცვალოს ფასების ცხრილით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები ხელშეკრულების ფასისა და მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში შემოთავაზებული ერთეული ფასების შეუცვლელად.

4.4 იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველთან შეთანხმებით ხორციელდება უკეთესი ხარისხობრივი მახასიათებლების მქონე სამუშაოს მიწოდება, მახასიათებლების ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით.

4.5 მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაანთავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

4.6 მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში 1 (ერთი) წლის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით განახორციელოს საგარანტიო მომსახურება და ხარვეზების გამოსწორება (სტიქიური და ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული შემთხვევების გარდა).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 სამუშაოს მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, კონკრეტული სამუშაოს შესრულების შემდეგ. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ხარჯთაღრიცხვით დადგენილ მოცულობათა ათვისებისას.

5.2 კონკრეტულ სამუშაოთა შესრულების შემდეგ მიმწოდებელი წერილობით მიმართავს შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშსწორების მოთხოვნით.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს მთლიანი დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს ლიცენზირებული საექსპერტო დაწესებულების საექსპერტო დასკვნა ფაქტიური შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესახებ, რომლის ღირებულებასაც ანაზღაურებს მიმწოდებელი. უარყოფითი საექსპერტო დასკვნის შემთხვევაში შემსყიდველი განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზების გამოსასწორებლად.

5.4 იმ შემთხვევაში, თუკი შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი მახასიათებლები განსხვავდება მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულისაგან, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას სამუშაოს მიღებაზე, რაც მიმწოდებელს არ ანთავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, კონკრეტული სამუშაოების ფაქტიური შესრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შემსყიდველი მიმწოდებელს საქონლის ღირებულების აუნაზღაურებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6.3 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- წერილობითი მოთხოვნა
- შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა №2)
- ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- სამუშაოს მთლიანი დასრულებისას დადებითი საექსპერტო დასკვნა შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესახებ.
- საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებით შედგენილი საგადასახადო დოკუმენტი.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა,

შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელი მოცულობების შესრულებასა და მის ანაზღაურებაზე.
6.5 ანგარიშსწორება ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.
7.2 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასების ცხრილი (დანართი №2) წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს, რომლის შეცვლაც შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8. გადასახადები და დაბეგვრა

8.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელ სამუშაოსთან დაკავშირებულ ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
8.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
9.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვიტის შემთხვევაში მხარეები იხდიან პირგასამტეხლოს 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია სამუშაოს შესრულება.
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა

და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის ---------- 2015 წლის ----------

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	_____
მის: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109	მის:
საიდენტიფიკაციო კოდი: 231946623	საიდენტიფიკაციო კოდი:
ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი”-ს თერჯოლის ფილიალი	ბანკი:
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი
ანგ. №GE97LB0120154968495000	ანგ. №
- - - - - - - - - - - - - - - - - - -	- - - - - - - - - - - - - - - - - - -
მუნიციპალიტეტის გამგებელი თეიმურაზ ჯაფარიძე	დირექტორი

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
ელექტრონული მისამართი:
მომსახურე ბანკი:
ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

_____ _____
(პრედენდენტის დასახელება) (ხელმოწერა)

_____
(სახელი, გვარი, თანამდებობა) (თარიღი, ბ.ა)